

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე ზედამხედველობა და კონტროლი

სტატიაში განხილულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერება და ზომიერება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, კერძოდ, თუ რამდენად ეფექტური და შესაბამისია საერთაშორისო სტანდარტებთან დღეს მოქმედი კონტროლის მექანიზმი.

სტატიაში შეფასდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მანდატი და უფლებამოსილება, რომლის საფუძველზეც სამსახური ახორციელებს ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე ზედამხედველობას და კონტროლს. საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის ძალაში შესვლის შემდგომ, როდესაც სამსახურს მიენიჭა სახელმწიფო საიდუმლოსთვის მიკუთვნებულ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შეფასების მანდატი.

საკვანძო სიტყვები: პერსონალური მონაცემი, ფარული საგამოძიებო მოქმედება, კონტროლის მექანიზმი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი.

1. შესავალი

თანამედროვე ეპოქაში, სადაც ციფრულ ანაბეჭდს ადამიანი ყველგან ტოვებს, მონაცემთა დამუშავების კანონიერების შეფასება ცალკეულ შემთხვევებში ხშირად კანონის მოქმედების ფარგლებს გარეთ რჩება. ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, გამომდინარე იქედან, რომ იგი დაკავშირებულია განზრახვი მძიმე ან განზრახვი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გამოძიებასთან. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება ხშირ შემთხვევაში მოითხოვს დიდი რაოდენობით სხვადასხვა ტიპის მონაცემების დამუშავებას, რა დროსაც სავალდებულოა, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო, ისე პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის ზედმიწევნით დაცვა და მონაცემთა დამუშავების მინიმუზაცია.

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების მაგისტრანტი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უმცროსი იურისტი.

ფარული საგამოძიებო მოქმედების დროს მონაცემთა დამუშავების მინიმიზაციის პრინციპი არ არის მხოლოდ ორგანიზაციულ-ტექნიკური ან პროცედურული საკითხი.

აღსანიშნავია, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების კონტროლი არ რეგულირდება ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციით“ (შემდეგში, “GDPR”), არამედ რეგულირდება საპოლიციო სექტორში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ დირექტივით (შემდეგში, “LED”), აქვე აღსანიშნავია, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც 2024 წლის პირველ მარტს ამოქმედდა, დიდწილად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

“LED” სამართალდამცავი ორგანოების მიერ სისხლის სამართლის დანაშაულების პრევენციის, გამოძიების, გამოვლენის ან სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას პერსონალური მონაცემების დამუშავების კონკრეტულ წესებსა და სტანდარტებს ადგენს, კერძოდ, კანონიერება, სამართლიანობა, გამჭვირვალობა და მონაცემთა დამუშავება სუბიექტის ღირსების შეუღახავად, მონაცემთა დამუშავება კონკრეტულად განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნით, მონაცემთა მინიმიზაცია, მონაცემთა ნამდვილობა და სიზუსტე, მონაცემთა შენახვის ვადის შეზღუდვა და მონაცემთა უსაფრთხოება. ეს წესები შექმნილია იმის უზრუნველსაყოფად, რომ მონაცემთა დამუშავების რიგი საგამოძიებო მოქმედებები იყოს აუცილებელი, პროპორციული და განხორციელდეს ინდივიდების უფლებების დაცვით.¹

კვლევის მიზანია ფარული საგამოძიებო მოქმედებების კონტროლის საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვა. კვლევის ფარგლებში განხილული იქნება მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპი, ასევე საუკეთესო პრაქტიკა და მეთოდები, რომელთა გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ. კვლევაში ხაზგასმულია სამართალდამცავი ორგანოების როლი და ინდივიდის ძირითად უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა დემოკრატიულ საზოგადოებაში.

2. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების სამართლებრივი ჩარჩო

სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩატარებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვას შორის ურთიერთმიმართების საკმაოდ რთული სამართლებრივი ლანდშაფტია, თუმცა აღნიშნული პროცესის კანონთან ჰარმონიზაცია დიდ გამოწვევასთან ერთად, ადამიანის ისეთი ფუნდამენტური უფლების დაცვას ემსახურება, როგორცაა პირადი ცხოვრების ნელმეუხებლობა.

ფარული საგამოძიებო მოქმედება (ოპერატიულ-სამძებრო მოქმედება), როგორც *Ultima Ratio*, მოიაზრებს სხვადასხვა ტექნიკითა თუ საშუალებით მტკიცებულებათა შეგროვებას, რა თქმა უნდა, ინდივიდთა წინასწარი გაფრთხილების გარეშე.² ზემოთ ხსენებულ მოქმედებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ „ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო“ ახორციელებს,

¹ საპოლიციო სექტორში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ დირექტივის მე-4 მუხლი.

² აუბარდია ი., კონტროლის მექანიზმები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე, სტატიათა კრებული - რევაზ გოგშელიძე 65, თბ., 2022, 200.

კონკრეტული დანაშაულების მიმართ, რომლებსაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ორგანოები იძიებენ.³

სხვა საგამოძიებო მოქმედებებისგან განსხვავებით, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, მხოლოდ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის წინააღმდეგ შესაძლოა, ჩატარდეს, აგრეთვე საგულისხმოა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ცალკეული დანაშაულები, სადაც შესაძლოა ზემოხსენებული საგამოძიებო მოქმედების განხორციელება, აღნიშნულ ჩამონათვალში ჩვენ ვხვდებით ისეთ დანაშაულთა ჯგუფებს, როგორებიცაა:

- დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ;
- ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა;
- დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ;
- დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ;
- ეკონომიკური დანაშაული;
- დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ;
- დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში;
- დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ;
- კიბერდანაშაული;
- დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ;
- დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ;
- ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევა;
- სამოხელეო დანაშაული.

გარდა მუხლობრივი განსაზღვრებისა, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ლეგიტიმური მიზნები, რომელთა მისაღწევადაც ტარდება ფარული საგამოძიებო მოქმედება, კერძოდ კი:

- ეროვნული უშიშროების უზრუნველსაყოფად;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- უწესრიგობის თვიდან ასაცილებლად;
- დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად;
- ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების დასაცავად;
- სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ფარგლები (ინტენსივობა) ზემოაღნიშნული ლეგიტიმური მიზნების პროპორციული უნდა იყოს, რომლებიც პირდაპირ ეხმიანება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ევროპული სასამართლოს პრაქტიკასა და სხვა საერთაშორისო თუ რეგიონული სამართლებრივი ინსტრუმენტებისა და სტანდარტების შესაბამისად გაქდურებულ ზოგად მოთხოვნებს.⁴

³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილი.

⁴ *ფაფიანიშვილი ლ., თუმანიშვილი გ. და სხვები*, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარი (2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით), თბ., 2015, 428-429.

მოქმედი საკანონმდებლო ცვლილების იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნის მიხედვით, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით აუცილებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის გათვალისწინება. მის თანახმად, აღნიშნული საკითხი სახელმწიფოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის გახანგრძლივება კი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, მათ შორის, საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად და დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის საწარმოებლად, შესაძლებელია იმდენჯერ, რამდენჯერაც ამის საჭიროება იარსებებს, შესაბამისი კონტროლით და სათანადო საპროცესო გარანტიების პირობებში.⁵

ნებისმიერი ლეგიტიმური მიზნით ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედება იმავდროულად სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულების მოპოვებას ისახავს მიზნად. თუმცა, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გზით საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულების მოპოვება უნდა მოხდეს, ან თავიდან იქნეს აცილებული დანაშაული, ვერ გამოდგება სასამართლოს მხრიდან ამგვარი მოქმედების ჩატარებაზე ნებართვის გაცემის საკმარის საფუძვლად. მხარემ დამატებით უნდა დაადასტუროს ისიც, რომ სხვა საშუალებით, ანუ სხვა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარების გზით ამგვარი მტკიცებულების მოპოვება და ამგვარი მიზნის მიღწევა შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს.⁶

ზემოხსენებული სტანდარტების დაცვის მტკიცების ტვირთი რა თქმა უნდა სახელმწიფო ბრალმდებელზეა, სწორედ პროკურორი შუამდგომლობს სასამართლოში ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების შესახებ, კერძოდ პროკურორის შუამდგომლობა განიხილება არაუგვიანეს 24 საათში. განხილვის შემდგომ მოსამართლე იღებს განჩინებას ნებართვის გაცემაზე ან უარის თქმის შესახებ.

მოსამართლის განჩინება დგება 4 ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შუამდგომლობის წარმდგენ პროკურორს, ერთი რჩება სასამართლოში, ხოლო ერთი განჩინება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა, მიეწოდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს მატერიალური სახით.

ფარული საგამოძიებო მოქმედება ასევე ტარდება გადაუდებელი აუცილებლობის ფარგლებშიც, რა დროსაც პროკურორი დადგენილების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს.

⁵ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნა „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონზე (№1614-VIIIმს-Xმპ, 7/06/2022) საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების თაობაზე (№07-1/14, 23/06/2022).

⁶ *ფაფიაშვილი ღ., თუმანიშვილი გ. და სხვები*, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარი (2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით), თბ., 2015, 429.

3. კონტროლი ფარულ საგამოძიებო მოქმედებებსა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებულ აქტივობებზე

3.1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მანდატი

საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი სათავეს 2013 წლიდან იღებს. ხოლო 2014 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი გავრცელდა დანაშაულის თავიდან აცილებისა და გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისათვის სახელმწიფო საიდუმლოებისთვის მიკუთვნებულ მონაცემთა ავტომატურ დამუშავებაზე და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს მიენიჭა ფარული საგამოძიებო მოქმედებების და ფარული საგამოძიებო მოქმედებების და უფლებამოსილი ორგანოს მონაცემთა ბანკებში განხორციელებული აქტივობების კონტროლის უფლებამოსილება. 2015 წლის 31 მარტიდან ძალაში შესული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განესაზღვრა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-138 მუხლებითა და 143¹ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებებზე ზედამხედველობის უფლებამოსილება.⁷

ხოლო 2019 წლიდან 2022 წლამდე მისი უფლებამონაცვლე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ახორციელებდა ზემოხსენებულ უფლებამოსილებას.

2022 წლის პირველი მარტიდან აღნიშნული მანდატი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს მიენიჭა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესრულებაზე ზედამხედველობა და მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლია.

ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანია სამართალდამცავი ორგანოების მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების კანონიერების კონტროლი პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებზე წვდომის პროცესში.

3.2. კონტროლის მექანიზმი

როგორც უკვე აღინიშნა სამსახურის ერთ-ერთი ფუნქციაა ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი, რაც უზურპაციის წინააღმდეგ მიმართულ მექანიზმად შეიძლება იწოდოს, ვინაიდან ფარული საგამოძიებო მოქმედებები, არსობრივად საკმაოდ სენსიტიურ საკითხს წარმოადგენს, რაც შესაძლოა გახდეს იმ ფუნდამენტურ უფლებებში უხეში ჩარევის ინსტრუმენტი, რომელთა დაცვას სახელმწიფო თავად უნდა უზრუნველყოფდეს.

სამსახური ზედამხედველობას უწევს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143¹-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ფარულ

⁷ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის 2015 წლის ანგარიში, 34.

საგამოძიებო მოქმედებებს, ასევე, ამავე კოდექსის XVI¹ თავით გათვალისწინებული ნორმების დაცვის ფარგლებში. ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლის მიზნით, სამსახურს 24-საათიან რეჟიმში მიეწოდება სასამართლოს განჩინებების რეკვიზიტები და სარეზოლუციო ნაწილი ასეთი მოქმედებების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ასევე, პროკურორის დადგენილებების რეკვიზიტები და სარეზოლუციო ნაწილი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე და სამართალდამცავი ორგანოების მიერ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით შედგენილი ოქმები.

სამსახური აგრეთვე, იღებს შეტყობინებებს, რომლებიც ასახავს ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიების მიერ კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა გადაცემას სამართალდამცავი ორგანოებისთვის. სამსახური ამოწმებს მიღებულ დოკუმენტებს, ადარებს ელექტრონულ სისტემებში ასახულ ინფორმაციას, დოკუმენტაციაში ასახული მონაცემები შეაქვს ფარული საგამოძიებო მოქმედებების აღრიცხვის შიდა ელექტრონულ სისტემაში და აანალიზებს მათ. ზემოაღნიშნული მექანიზმების გარდა, ფარული საგამოძიებო მოქმედების — სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის მონიტორინგისთვის, სამსახური იყენებს კონტროლის ელექტრონულ და სპეციალურ ელექტრონულ სისტემებს, ხოლო ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლისათვის გამოიყენება ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალური ბანკის კონტროლის ელექტრონული სისტემა.⁸

გარდა ამისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური აკონტროლებს ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებულ აქტივობებს კონტროლის სისტემით და მონაცემთა დამუშავების/უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებით ანუ ინსპექტირებით.⁹

3.3. სტატისტიკა

საინტერესოა ის ფაქტი, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში სტატისტიკის წარმოების ერთიანი მიდგომების დამკვიდრებისა და შესაბამისი სტანდარტების დანერგვის მიზნით, შეიმუშავეს მეთოდოლოგია, რომლითაც ხორციელდება სამსახურის საქმიანობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების დაჯამება და ანალიზი.¹⁰

მაგალითისათვის განხილულ იქნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გასული წლის სტატისტიკა, რომლის თანახმადაც სამსახურმა სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება-ჩაწერის შეჩერების მექანიზმი (კონტროლის

⁸ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 2023 წლის 12 თვის საქმიანობის სტატისტიკა (იანვარი-დეკემბერი), 7.

⁹ საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 14/06/2023, 49-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

¹⁰ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობის კონტროლის შესახებ წლიური სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგია, 2024.

ელექტრონული სისტემის საშუალებით) 76 შემთხვევაში გამოიყენა, რაც გამოწვეული იყო სასამართლოს განჩინების დაგვიანებით წარმოდგენით (74 შემთხვევა), სასამართლოს მიერ გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე პროკურორის დადგენილების საფუძველზე დაწყებული ფარული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობით (1 შემთხვევა) და ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტით (1 შემთხვევა).

- სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ სასამართლომ განიხილა 859 შუამდგომლობა, რომელთა 87% (744) სრულად დაკმაყოფილდა, 9% (80) არ დაკმაყოფილდა, ხოლო 4% (35) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.
- სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ვადის გაგრძელების შესახებ სასამართლომ განიხილა 228 შუამდგომლობა, რომელთაგან დაკმაყოფილდა 87% (199), ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 9% (21), არ დაკმაყოფილდა 4% (8).
- ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების შესახებ სასამართლომ განიხილა 1024 შუამდგომლობა, რომელთაგან 93% (952) სრულად დაკმაყოფილდა, 6.6% (68) არ დაკმაყოფილდა, ხოლო 0.4% (4) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.
- ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების ვადის გაგრძელების შესახებ სასამართლომ განიხილა 120 შუამდგომლობა, რომელთა 87% (105) დაკმაყოფილდა, 11% (13) არ დაკმაყოფილდა, ხოლო 2% (2) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.
- სასამართლომ განიხილა 3 შუამდგომლობა ფარული საგამოძიებო მოქმედების კავშირგაბმულობის არსებიდან, კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნისა და ფიქსაციის თაობაზე, რომელთაგან 1 დაკმაყოფილდა, ხოლო 2 არ დაკმაყოფილდა.
- სასამართლომ განიხილა 1 შუამდგომლობა ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვების თაობაზე, რომელიც დაკმაყოფილდა.
- სამსახურს წარედგინა გადაუდებელი აუცილებლობით ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ პროკურორის 92 დადგენილება, რომელთაგან 83% (76) შეეხებოდა ფარულ ვიდეოჩაწერას ან/და აუდიოჩაწერას, ფოტოგადაღებას, 17% (16) შეეხებოდა სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს წარედგინა სასამართლოს განჩინებები და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე პროკურორის დადგენილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების, დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ. კოდექსის 136-ე მუხლთან დაკავშირებით წარდგენილი დოკუმენტებიდან პროკურორების დადგენილებებმა შეადგინა 2%, ხოლო სასამართლოს განჩინებებმა 98%. სამსახურს წარედგინა სასამართლოს 1490 განჩინება. დამატებით, სამსახურმა მიიღო პროკურორის 34 დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობით საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თაობაზე კოდექსის 136-ე მუხლის შესაბამისად.
- სსიპ „საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს“ სასამართლოს მიერ სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადება-ჩაწერაზე გაცემულ

- ნებართვებში არსებულ ბუნდოვანება-უზუსტობაზე (კონტროლის ელექტრონული სისტემის საშუალებით) ეცნობა 6-ჯერ.
- კონტროლის ელექტრონული სისტემის საშუალებით სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება-ჩაწერის პროცესში ინციდენტი არ გამოვლენილა.
 - ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალური ბანკის კონტროლის ელექტრონული სისტემით სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალური ბანკიდან სსიპ „ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს“ მიერ მონაცემები სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებების საფუძველზე გაიცა 71-ჯერ.
 - ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებულ აქტივობათა კონტროლის შედეგად რაიმე ხარვეზი ან ინციდენტი არ გამოვლენილა.¹¹

აღნიშნული სტატისტიკა წარსულში არსებულ მარეგულირებლებთან შედარებით გაზრდილია, რაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მაღალ ეფექტიანობას და მანდატის გაძლიერებისკენაა მიმართული, ეს ყოველივე დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ერთ დროს სრულიად კანონის კონტროლს გარეთ არსებული სფერო, ზედამხედველობის არეალში მოექცა, აღნიშნულს ცხადყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ 2016 წლის ანგარიშიც, რომელშიც ნახსენებია ფაქტი იმის შესახებ, რომ ექვს შემთხვევაში, დადგენილების ეგზემპლარი არ წარუდგენიათ საზედამხედველო ორგანოსთვის. მიზეზად მთავარმა პროკურატურამ განმარტა, რომ პროკურორის დადგენილების წარმოუდგენლობა განპირობებული იყო დროის სიმწირითა და მრავალი გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების რიცხვით. ასევე, ამავე წელს დადგინდა დადგენილების დაგვიანებით წარმოდგენის 3 ფაქტი.¹²

3.4. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განადგურება

ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას ანადგურებს შესაბამისი საქმის გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობის განმახორციელებელი ან სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი ან მათი ზემდგომი პროკურორი, იმ მოსამართლის ან სასამართლოს მოსამართლის თანდასწრებით, რომელმაც ან რომლის მოსამართლემაც მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ან გადაუდებელი აუცილებლობისას, მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ. ფარული

¹¹ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 2023 წლის 12 თვის საქმიანობის სტატისტიკა (იანვარი-დეკემბერი), 9.

¹² პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ 2016 წლის ანგარიში, <<https://old.pdps.ge/ka/download/2870>> [05.08.2024].

საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების შესახებ შესაბამისი პროკურორისა და მოსამართლის ხელმოწერებით დადასტურებული ოქმი გადაეცემა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს და აისახება ფარული საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო რეესტრში.¹³

საინტერესოა LED-ის მიდგომა ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განადგურებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ პერსონალურ მონაცემთა წაშლის სათანადო ვადების განსაზღვრა და პერსონალური მონაცემების შენახვის საჭიროების პერიოდული გადასინჯვა. პროცედურული ზომებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ ვადების სათანადოდ დაცვა, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ქართულ მოდელთან ახლოს მყოფ მიდგომასთან.

4. საერთაშორისო სტანდარტები

4.1. მარეგულირებელი ორგანოები

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს მოქმედებების ობიექტს მხოლოდ ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულების შემდეგ ეძლევა შესაძლებლობა სრულფასოვნად დაიცვას საკუთარი უფლებები და შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, აღნიშნული მოქმედებების დროს ქმედების განმახორციელებელი ორგანოს კონტროლი. აღნიშნული კონტროლის სათანადოდ განხორციელება, მოქმედებების ობიექტისთვის შეტყობინებამდე არის ერთადერთი სამართლებრივი გარანტია, რომელიც ფარული საგამოძიებო მოქმედებების ობიექტსა და მესამე პირებს იცავს თვითნებობისგან.

ფარულ მიყურადებას და სხვა ფარულ ღონისძიებებს, უმეტეს შემთხვევაში, შესაბამისი ქვეყნების უსაფრთხოების სამსახურები ახორციელებენ. მაგალითად, საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაქვემდებარებაშია. უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობაზე საზედამხედველო ორგანოები კი ყველა ქვეყანაში განსხვავებულია. საზედამხედველო ორგანოების შექმნის, საქმიანობის, საუკეთესო პრაქტიკის შესახებ არსებობს როგორც გაეროს, ისე ევროსაბჭოს და ვენეციის კომისიის კვლევითი დოკუმენტები, რომლებიც მნიშვნელოვან რეკომენდაციებს იძლევა ეფექტიანი საზედამხედველო ინსტიტუტების შექმნისა და ფუნქციონირებისთვის. ევროსაბჭოს 2015 წლის კვლევითი ანგარიშის თანახმად, ევროსაბჭოს წევრი არც ერთი ქვეყნის საზედამხედველო სისტემა სრულად არ შეესაბამება აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებსა და პრინციპებს, ასევე, არ არსებობს ზედამხედველობის ერთი საუკეთესო მოდელი. თუმცა, არსებობს გარკვეული პრაქტიკა და მიდგომები, რომლებიც საყურადღებოა ადამიანის უფლებათა დაცვის პერსპექტივიდან.¹⁴ ევროსაბჭოს ხსენებული დოკუმენტის თანახმად, ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველი ორგანოები არიან: საპარლამენტო კომიტეტები, დამოუკიდებელი ზედამხედველობის ინსტიტუტები, სასამართლოები, კვაზი-სასამართლო ორგანოები.

¹³ აუბარდია ი., კონტროლის მექანიზმები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე, სტატიათა კრებული - რევაზ გომეზელიძე 65, თბ., 2022, 228.

¹⁴ Council of Europe Commissioner for Human Rights, Democratic and Effective Oversight of National Security Services, 2015, 8, <<https://rm.coe.int/1680487770>> [31.07.2024].

4.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

ა. *Roman Zakharov and Others v. Russia*¹⁵

განმცხადებელმა, რომელიც იყო საგამომცემლო კომპანიის მთავარი რედაქტორი, დაიწყო სამართალწარმოება სამი მობილური ქსელის ოპერატორის წინააღმდეგ, აცხადებდა რა, რომ ხდებოდა მისი სატელეფონო კომუნიკაციების დაცულობის უფლებაში ჩარევა. იგი ამტკიცებდა, რომ შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, მობილური ქსელის ოპერატორებმა დაამონტაჟეს სისტემა/აპარატურა, რომელიც ფედერალური უშიშროების სამსახურს (FSB) აძლევდა საშუალებას, განეხორციელებინა სატელეფონო კომუნიკაციაზე მონიტორინგი წინასწარი სასამართლო ნებართვის გარეშე. მან იშუამდგომლა სისტემის/აპარატურის მოხსნაზე და უზრუნველყოფილიყო ტელეკომუნიკაციებზე წვდომა მხოლოდ უფლებამოსილ პირთათვის.

ეროვნულმა სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს განმცხადებლის მოთხოვნა, მიიჩნიეს რა, რომ მან ვერ დაამტკიცა, რომ ხდებოდა მისი სატელეფონო საუბრების მიყურადება, ან რომ მობილური ქსელის ოპერატორებმა გადასცეს ინფორმაცია არაუფლებამოსილ პირებს. ხოლო სისტემის/აპარატურის მონტაჟი, თავისთავად არ არღვევდა მისი კომუნიკაციების დაცულობას.

ევროპული სასამართლოს წინაშე განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ რუსეთში მობილური ტელეფონების კომუნიკაციების ფარული მიყურადების სისტემა არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-8 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს. 2014 წლის 11 მარტს სასამართლოს პალატამ იურისდიქციაზე უარი თქვა დიდი პალატის სასარგებლოდ.

წინამდებარე საქმეში, გასაჩივრებული კანონმდებლობა პირდაპირ ზემოქმედებდა მობილური სატელეფონო სერვისის ყველა მომხმარებელზე, რადგან მან საფუძველი ჩაუყარა ფარული მიყურადების სისტემას, რომლის ფარგლებშიც ეროვნული პროვაიდერის მობილური სატელეფონო სერვისით მოსარგებლე ნებისმიერი პირის კომუნიკაცია შესაძლოა დაექვემდებაროს მიყურადებას ისე, რომ პირი ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ ვერასდროს შეიტყობს. ამასთანავე, ეროვნული კანონმდებლობა არ სთავაზობდა ეფექტიანი დაცვის საშუალებას იმ პირებს, რომლებსაც ეჭვი ჰქონდათ, რომ ექვემდებარებოდნენ ფარულ მიყურადებას. შესაბამისი კანონმდებლობის *in abstracto* შეფასება, შესაბამისად გამართლებული იყო. განმცხადებელს არ სჭირებოდა ემტკიცებინა, რომ მისი პირადი ვითარების გამო იგი იმყოფებოდა ფარული მიყურადების საფრთხის წინაშე. შესაბამისად, მას ჰქონდა კონვენციის დარღვევის მსხვერპლის სტატუსის მოთხოვნის უფლება.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მნიშვნელოვანია ზედამხედველობის საკითხი, სადაც გაირკვა რომ - ეროვნული კანონმდებლობით დაწესებული აკრძალვა მიყურადების რეგისტრირებისა და ჩაწერის შესახებ შეუძლებელს ხდის საზედამხედველო ორგანოებისათვის დაადგინონ ის შემთხვევები, როცა მიყურადება განხორციელდა სასამართლო ნებართვის გარეშე. იმასთან ერთად, რომ ხელისუფლების სათანადო ორგანოებს აქვთ ტექნიკური საშუალება, პირდაპირ მიაყურადონ, ამ დებულებამ აზრი დაუკარგა სახელმწიფოში ნებისმიერ საზედამხედველო მექანიზმს და წაართვა მიყურადების კანონიერების შემოწმების

¹⁵ *Case of Roman Zakharov v. Russia*, (Application no. 47143/06), <hudoc.echr.coe> [31.07.2024].

საშუალება, შესაბამისად, ეს მექანიზმი არაეფექტიანია. მართალია, საკანონმდებლო ბაზა თეორიულად ადგენდა გარკვეულ საპროკურორო ზედამხედველობას, მაგრამ პრაქტიკაში კანონმდებლობამ ვერ შეძლო ადეკვატური და ეფექტური გარანტიების დადგენა თვითნებობის წინააღმდეგ.

ბ. Podchasov v. Russia¹⁶

2024 წლის 13 თებერვალს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე Podchasov v. Russia გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც სამართალდამცავი ორგანოების მიერ ელექტრონულ საკომუნიკაციო სისტემებზე განუსაზღვრელი ფარგლებითა და ვადით წვდომის საკითხს შეეხება, კერძოდ, მიმოწერათა „სუსტი დაშიფვრის სისტემისა“ (“Encryption Mechanism”) და მათ შინაარსზე ხელმისაწვდომობის საკითხს.

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის აქტის საფუძველზე, ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიებს დაევალებათ საკომუნიკაციო მონაცემების ერთი წლის ვადით, ხოლო მათი შინაარსის — ექვსი თვის განმავლობაში შენახვა. აღნიშნული მონაცემი, მათ შორის ნებისმიერი ისეთი ინფორმაცია, რომელიც სამართალდამცავ ორგანოებს კომუნიკაციების გამიფვრაში დაეხმარებოდათ, ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიებს მოთხოვნისთანავე უნდა წარედგინათ.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, რუსეთის სახელმწიფო უსაფრთხოების ფედერალურმა სამსახურმა ელექტრონული კომუნიკაციის კომპანია “Telegram”-ს მოსთხოვა, წარედგინა სისტემური ინფორმაცია, რომელიც სამსახურს ექვსი მობილური ნომრის კომუნიკაციის გამიფვრაში დაეხმარებოდა. აღსანიშნავია, რომ მობილური ნომრების მომხმარებლები, შეტყობინებათა დაშიფვრის მიზნით, პლატფორმა “Telegram”-ის „საიდუმლო მიმოწერის“ ფუნქციას იყენებდნენ.

მომჩივანი აცხადებდა, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიერ ელექტრონულ საკომუნიკაციო სისტემაზე განუსაზღვრელი ფარგლებითა და ვადით წვდომა ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს.

ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ციფრულ ეპოქაში ელექტრონული კომუნიკაციების კონფიდენციალობის უზრუნველყოფის მექანიზმებზე, მათ შორის, მიმოწერის დაშიფვრის ღონისძიებებზე, რაც ხელს უწყობს სხვა ძირითადი უფლებით სარგებლობას. კომუნიკაციის დაშიფვრა მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, დაიცვან საკუთარი მონაცემები და აირიდონ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ელექტრონულ საკომუნიკაციო სისტემაში დაცული მონაცემების გამიფვრის მოთხოვნა იყო არაპროპორციული, რამდენადაც ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა შესაბამისი და სათანადო დასაბუთების ვალდებულებას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ პერსონალური მონაცემების დაცვას არსებითი მნიშვნელობა აქვს ინდივიდის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებით სარგებლობისთვის. ეროვნული კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი გარანტიები, რათა თავიდან იქნეს არიდებული პერსონალური

¹⁶ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სამართალდამცავი ორგანოების მიერ ელექტრონულ საკომუნიკაციო სისტემაზე უსაფუძვლო და განუსაზღვრელი წვდომის დაუშვებლობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, იხ. <pdps.ge/ka> [31.07.2024], მითითებულია: *Case of Podchasov v. Russia*, Application no. 33696/19, 13 February 2024.

მონაცემების კონვენციის მე-8 მუხლთან შეუსაბამოდ დამუშავება. ამგვარ ღონისძიებათა არსებობა მნიშვნელოვანია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავების პროცესში — განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც მონაცემები სამართალდამცავი მიზნებისთვის გამოიყენება. სასამართლომ განმარტა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების დაბალანსებული გამოყენების გარეშე სამართალდამცავი მიზნებისათვის კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევა, არაპროპორციულ ზომას წარმოადგენს. შესაბამისად, პერსონალური მონაცემების დამუშავების კონტექსტში აუცილებელია, არსებობდეს მკაფიო და დეტალური წესები მონაცემთა შენახვის, გამოყენებისა და მათზე წვდომის შესახებ. ხოლო მონაცემთა შენახვის ვადა უნდა განისაზღვროს შეგროვების კანონიერი მიზნის პროპორციულად.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასების საფუძველზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სისტემაში არსებული ყველა მონაცემისა და მეტამონაცემის ხანგრძლივი ვადით შენახვა ზემოქმედებდა ინტერნეტ-კომუნიკაციების ყველა მომხმარებელზე, მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა რაიმე ეჭვი დანაშაულებრივ ქმედებებში პირის მონაწილეობის შესახებ. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ მონაცემთა შენახვისა და ხელმისაწვდომობის მოთხოვნა არღვევდა მონაცემთა კონფიდენციალობას, აგრეთვე, არ ითვალისწინებდა მონაცემთა სუბიექტის უფლების დაცვის სათანადო გარანტიებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს ყველა ინტერნეტ-მომხმარებლის კომუნიკაციის შენახვას, ასევე, ელექტრონულ საკომუნიკაციო სისტემაზე უსაფრთხოების სამსახურის პირდაპირ წვდომას, მონაცემთა დაცვის ადეკვატური გარანტიების არსებობის გარეშე, ვერ იქნება მიჩნეული, როგორც აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

ევროპარლამენტარებმა ხაზი გაუსვეს როგორც *ex ante*, ასევე *ex post* ზედამხედველობის აუცილებლობას; ეს შეესაბამება სასამართლოს მიდგომას.¹⁷

გ. *Ekimdzhiev and Others v. Bulgaria*¹⁸

საქმე ეკიმძიევი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ ეხება უკანონობისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის არასათანადო სამართლებრივ გარანტიებს საიდუმლო თვალთვალის შემთხვევაში, აგრეთვე, კომუნიკაციის მოსმენების შედეგად მიღებული მონაცემების შენახვასა და მათთან წვდომას.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელეებად გვევლინებიან ორი იურისტი და მათთან დაკავშირებული ორი არასამთავრობო ორგანიზაცია. ისინი ამტკიცებენ, რომ არიან ბულგარეთის სახელმწიფოს მხრიდან ფარული მიყურადებისა და კომუნიკაციის მოსმენის საფრთხეში, მათი საქმიანობიდან გამომდინარე, ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებით ბულგარეთის მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და მისი პრაქტიკაში გამოყენების შედეგად.

¹⁷ European Parliament Resolution of 12 March 2014 on the US NSA Surveillance Programme, Surveillance Bodies in Various Member States and their Impact on EU Citizens' Fundamental Rights and on Transatlantic Cooperation in Justice and Home Affairs (2013/2188(INI)).

¹⁸ Case of *Ekimdzhiev and Others v. Bulgaria*, (Application no. 70078/12), <<https://hudoc.echr.coe.int/fre#%22itemid%22:%22001-214673%22>> [05.08.2024].

მნიშვნელოვანია, რომ მოსარჩელები არ ამტკიცებენ თვალთვალის ფაქტის ან მათი კომუნიკაციის მოსმენის განხორციელებას სახელმწიფო ორგანოების მიერ.

ევროპული სასამართლოს შეფასება

ევროპულმა სასამართლომ განიხილა ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებით ბულგარეთის კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკა, რომელიც, მისი აღნიშვნით, დიდ წილად გაუმჯობესდა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საქმეზე ევროპული ინტეგრაციისა და ადამიანის უფლებათა ასოციაცია და ეკიმივეი ბულგარეთის წინააღმდეგ. თუმცა, სასამართლოს მიხედვით, კანონმდებლობა არ აკმაყოფილებდა უკანონობისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს, რომელთა არსებობას მოითხოვს კონვენციის მე-8 მუხლი.

სტატიის თემატიკიდან გამომდინარე, საინტერესოა ზედამხედველობის საკითხის განხილვა, სადაც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა შემდეგი: ბულგარეთის ეროვნული კანონმდებლობით არ იყო დადგენილი საკომუნიკაციო მონაცემების შენახვის, წვდომის, განხილვის, გამოყენების, კომუნიციირების და მათი განადგურების წესები; ისინი ინახებოდა სისხლის სამართლის საქმეში და მათზე წვდომა გააჩნდა ნებისმიერ პირს. ამდენად, აღნიშნული მონაცემები არასათანადოდ იყო დაცული, რაც პირის პირად ცხოვრებაში ან იურიდიული პირის კორესპონდენციაში არათანაზომიერი შეჭრის მაღალ რისკს წარმოშობდა.

ამასთან, მოქმედ საზედამხედველო სისტემას არ გააჩნდა უნარი, ეფექტიანად შეეფასებინა ჰქონდა თუ არა ადგილი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის კომისიას გააჩნდა კომუნიკაციის სერვის პროვაიდერების მიერ მონაცემთა მოპოვებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შემოწმების უფლებამოსილება, მას არ შეეძლო იმ სახელმწიფო ორგანოთა ქმედებების შესწავლის შესაძლებლობა, რომლებსაც ასეთ მონაცემებზე ჰქონდათ წვდომა.

შესაბამისად, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, კომუნიკაციის მოსმენის შედეგად მიღებული მონაცემების შენახვასა და მათთან წვდომასთან დაკავშირებით ბულგარეთის მოქმედი კანონმდებლობა სრულად არ აკმაყოფილებდა „კანონის“ მოთხოვნას, რის გამოც იგი ვერ უზრუნველყოფდა რომ „ჩარევა“ ყოფილიყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.“ აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

5. დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცული ინდივიდის პირადი ცხოვრების უფლების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, რადგანაც სწორედ ის ქმნის ადამიანური ზრდისა და პიროვნებად ჩამოყალიბების ფუნდამენტს. ხსენებული უფლება არის ფარი, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა გამოხატონ საკუთარი აზრი, იყვნენ ინდივიდუალურნი და ჰქონდეთ განსხვავებული მოსაზრებები ნეგატიური შედეგების გარეშე, სწორედ ამიტომ სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩატარებული საგამოძიებო, კერძოდ კი, ფარული საგამოძიებო მოქმედებები საჭიროებს დეტალურ კონტროლსა თუ სხვადასხვა სახის

საკანონმდებლო ბოჭვას, გამომდინარე აქედან გაძლიერდა და დაუკავშირდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მანდატი დასავლურ გამოცდილებას.

აღნიშნულს ცხადყოფს, როგორც გამოქვეყნებული წლიური ანგარიშები თუ სტატისტიკები, ასევე, საგულისხმოა სტატიაში მიმოხილული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მაღალი მაჩვენებელი, რაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ეფექტურ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე საზედამხედველო მექანიზმად აქცევს.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 14/06/2023.
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09/10/2009.
3. საპოლიციო სექტორში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ დირექტივა.
4. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნა „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონზე (№1614-VIIIმს-Xმპ, 7/06/2022) საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების თაობაზე (№07-1/14, 23/06/2022).
5. აუბარდია ი., კონტროლის მექანიზმები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე, სტატიათა კრებული - რევაზ გოგშელიძე 65, თბ., 2022, 200, 228.
6. ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ. და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარი (2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით), თბ., 2015, 428-429.
7. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის 2015 წლის ანგარიში, 34.
8. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 2023 წლის 12 თვის საქმიანობის სტატისტიკა (იანვარი-დეკემბერი), 7, 9.
9. Council of Europe Commissioner for Human Rights, Democratic and Effective Oversight of National Security Services, 2015, 8, <<https://rm.coe.int/1680487770>> [31.07.2024].
10. European Parliament Resolution of 12 March 2014 on the US NSA Surveillance Programme, Surveillance Bodies in Various Member States and their Impact on EU Citizens' Fundamental Rights and on Transatlantic Cooperation in Justice and Home Affairs (2013/2188(INI)).
11. *Case of Roman Zakharov v. Russia*, (Application no. 47143/06).
12. *Case of Podchasov v. Russia*, Application no. 33696/19, 13 February 2024.